



**სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო**

19 სექტემბერი 2023



GOV N 2265/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის (ჯაგრცხილას და მუხის ჯიშის საშეშე მერქანი) – სულ - 50.00 მ³ საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N720) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 78-ე, 79-ე, 80-ე, 82-ე, 83-ე, 84-ე და 86-ე მუხლების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის N2-796 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 25 იანვრის დასკვნის N000485323, „სსიპ- ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანებისა და ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის უფროსის 2023 წლის 15 სექტემბრის N19373 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N720 ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ბოლნისი-დმანისის სატყეო უბნის, კაზრეთის სატყეო კვ. N17 (ლიტ.1,2,3,5,6,7,8,9,10,11,13) საქმიანი ეზო 001-000-000182-ში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის გადმოცემული (სპეციალური ჭრის) შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსის 50.00 მ³ ფოთლოვანი სახეობის (**ჯაგრცხილა და მუხა**) საშეშე მერქნული რესურსის - საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დავით ალადაშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო